



ოქმი:ო37.37212291

თარიღი:17/08/2021

ოქმი N13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2021 წელი, 11 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

14.00 საათი -15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-
გ.ღურჯუმელიძე, მუდმივმოქმედ კომისიათა
თავმჯდომარეები: ლ.საჯაია, ლ. ბიგვავა, გ.ჩაგანავა,
ე.გორდელაძე, გ.კილაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, დ.ჭაკნელიძე,
ბ.დოლიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.თოიძე; მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე,
ხ.ცერცვაძე, დ.მდინარაძე, გ.მდინარაძე, ბ.ქათამაძე,
პ.კილურაძე, მ.ზოიძე, რ.სკამკორჩიაშვილი, ბ.თოიძე,
ლ.კილაძე, ალ.ლოლონი, ვლ.ჩავლეშვილი, თ. ტულუში,
ვლ.ლოლონი, ლ.სიჭინავა,დ.მჟავანაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის
პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 29 -მ, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 29-ხმით.

დღის წესრიგი

44.1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 -ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გ.ღურჯუმელიძის წინადადებით და საკრებულოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით , საკრებულომ მხარი

დაუჭირა საპრივატიზებო ნუსხიდან გრეიდერის, ბორბლებიანი ექსკავატორისა და სპეციალური სატვირთო ავტომობილის ამოღებას.

საკრებულოს წევრმა დ.მუხანაძემ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაამ განაცხადა, რომ მხარს უჭერს

გ.ღურჯუმელიძის წინადადებას.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ.კილაძემ განაცხადა, რომ მართალია კომისია მხარი დაუჭირა მოძრავი ქონების გასხვისებას, მაგრამ საკრებულოს სხდომაზე გამოთქმულ მოსაზრებას ისიც უჭერს მხარს.

45.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 -ხმით

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ“ინფორმაციის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

საკრებულომ ცნობად მიიღო ინფორმაცია- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ“.

ინფორმაციის გაცნობისას საკრებულოს წევრების ერთობლივი აზრი იყო თავად მუნიციპალიტეტის მერი კ.შარაშენიძე დასწრებოდა სხდომას და ერთგვარი ანგარიში ჩაებარებინა საკრებულოსათვის, ამასთანავე ეპასუხა შეკითხვებზე.

საკრებულოს წევრმა მ.ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ რადგან მერმა შვებულებაში გასვლა ითხოვა და ალბათ ამ საკითხებზე მსჯელობის საშუალება ბოლოჯერ გვექნება. მინდა გამოვეხმაურო მერიის მხრიდან გაცემული მიზნობრივი სოციალური დახმარებების საკითხს – აშკარად იკვეთება ტენდენცია, რომ არათანაბრად მეტი ასეთი დახმარება მერიის მიერ გაცემულია სწორედ საკუთარ მხარდამჭერებზე, მაშინ როდესაც ადამიანებს, ვინც კრიტიკულ პოზიციას აფიქსირებდა მოქმედი მერის მიმართ – ასეთ დახმარებაზე უარს ეუბნებოდნენ ან ეს დახმარებები დროში იწელებოდა. გაცემული დახმარებების ეფექტიანობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან ხშირად შეხვდებით მაგალითად სახლის გადასახურად გაცემულ თუნუქს, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების ეზოში დევს თვეების განმავლობაში და ეს ოჯახები სახლის გადახურვას ვერ ახერხებენ – ეს არის სახელმწიფო რესურსებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. როგორც ჩანს მოქმედ მერს არა შვებულების შემდეგ, არამედ უკვე მთელი წელია დაწყებული აქვს წინასაარჩევნო კამპანია და მხოლოდ საკუთარ მხარდამჭერებს ეხმარება.

აღნიშნულ საკითხს ასევე გამოეხმაურა ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატი ლელა საჯაიაც. მოქმედი მერი ისე გადის შვებულებაში და ერთვება არჩევნებში, რომ ჩვენთვის და მთელი ქვეყნისთვის ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი არათუ მოგვარებულია, პირიქით – ამ სფეროში რაც გაკეთდა ისიც კი ნადგურდება და ახალი პროექტები ბოლომდე არ არის მიყვანილი: არტემ ერქომაიშვილის სახელობის მუზეუმი სოფელ მაკვანეთში, რომელიც რამდენიმე წლის წინ აშენდა, პრაქტიკულად ნადგურდება უპატრონოდ და მერიის მხრიდან სრულიად მიტოვებულია; ასევე ვარლამ სიმონიშვილის სახელობის მუზეუმი შემოქმედში, რომელიც ნადგურდება უყურადღებობით. მერმა, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა არცერთი ნაბიჯი არ გადადგა ამ მიმართულებით. ჯერ კიდევ ვერ დასრულდა ოზურგეთის მუზეუმის რეაბილიტაცია, რისთვისაც მთავრობამ მნიშვნელოვანი რესურსი გამოუყო ოზურგეთს – მერიამ სამუშაოების მცირე ნაწილი, რაც ექსპოზიციების მოწყობას სჭირდებოდა არ შეასრულა.

საკრებულოს წევრ ხ.ცერცვაძის აზრით, საზოგადოებას იმედი ქონდა მოწესრიგდებოდა კურორტ გომისმთაზე არსებული სავალალო მდგომარეობა, მიენიჭა დაბის სტატუსი მაგრამ მდგომარეობა კვლავ საგანგაშოა, საინტერესო იქნებოდა ამ პრობლემაზე მერის პასუხი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ეთანხმება გამოთქმულ შენიშვნებს, მაგრამ განსაკუთრებით სტრატეგიული მიმართულება იყო გომისმთის საკითხი, კურორტი საერთოდ მიტოვებულია, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა შედეგებით ასრულებს მერი საქმიანობას და გადის შვებულებაში – ოზურგეთისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტურისტული შესაძლებლობა – გომისმთის პროექტი, რისთვისაც ჩვენმა დეპუტატებმა და მთავრობამ იმუშავეს და გომისმთის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრაცია უზრუნველყვეს, დღეის მდგომარეობით სავსეა უკანონო, აბსოლუტურად სტანდარტებს აცილებული მშენებლობებით. იმის ნაცვლად, რომ მერს და მერიას გომისმთის გეგმა შეემუშავებინა, დაეცვა ტერიტორია და მისი განვითარება თანამედროვე, ევროპული კურორტის სტანდარტით მომხდარიყო – ეს შესაძლებლობა დაკარგულია იმ უპასუხისმგებლო მიდგომის გამო, რასაც ადგილი ჰქონდა. სამწუხაროდ დღეს გომისმთაზე 90-იანების ქაოტურ სტილში შეივსო უსახური და უკანონო მშენებლობებით და ვკარგავთ თანამედროვე კურორტის განაშენიანების შანსს. პირდაპირ გეტყვით, ეს მიუღებელია და ამის დაშვება არ შეიძლებოდა!

ასევე, საკრებულოს წევრთა მიერ გამოითქვა აზრი, მუზეუმებში არსებულ მოუგვარებელ პრობლემებზე, ზვანში არ აშენებულ საბავშვო ბაღის შენობაზე და სხვა, რომლებზეც საზოგადოებას და საკრებულოს აინტერესებს მუნიციპალიტეტის მერის პასუხები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ.ჩაგანავამ განაცხადა, რომ წარმოდგენილი არაა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების 6-თვის შედეგები, მოსალოდნელია შეიქმნას პრობლემები მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული ა(ა). ი.პ -ის დაფინანსებაში.

კომისიის თავმჯდომარის ლ.ბიგვაგას აზრით, უნდა მომხდარიყო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური ანგარიშების წარმოდგენა საკრებულოს შესაბამის კომისიაში და მსჯელობა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ განაცხადა, როცა ამდენი კითხვები და მოუგვარებელი პრობლემები რჩება, მოქმედ მერს შვებულებაზე შემოაქვს მოთხოვნა ისე, რომ საკრებულოს სხდომაზე

არ მოდის - ეს მიუღებელია და ამით ირღვევა მერის ანგარიშვალდებულების პრინციპი.

საკრებულოს წევრმა დ.მჟავანაძემ განაცხადა, რომ მუზეუმების თაობაზე თავიდან უნდა ატეხილიყო განგაში, კურორტ გომისმთის საგანგაშო მდგომარეობა კი მერთან ერთად საკრებულომაც უნდა გაინაწილოს.

სსდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

